საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

ჩვენს მიერ ინიცირებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი (07-3/209, 17.07.18) „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საჭიროებს დამატებით კონსულტაციებს, აღნიშნული მიზეზით დადგენილების პროექტს გამოვითხოვთ.

პატივისცემით,

2-6140/20
09 06 20 6

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია

სარჩევი

1. შესავალი
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციები
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის პრინციპები და ფასეულობები
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის მიზნები და ამოცანები
5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაცია

1. შესავალი

საქართველოს დემოკრატიული განვითარება დიდწილად არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებასთან. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საშუალებას იძლევა, მოხდეს მწვავე პრობლემების პოლიტიკურ დღის წესრიგში დასმა და, ამდენად, ქმნის საფუძველს რეალურ საჭიროებებზე დამყარებული სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა.

სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას შეუძლია, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დოკუმენტებს დაუბრუნოს ავთენტური შინაარსი, ასახოს მოქალაქეთა აზრი და მოთხოვნები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა იზრდება ქვეყნის წინაშე დღეს არსებული გამოწვევების ფონზე. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას, ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე დამყარებული სისტემების შექმნას. ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებულ ნაწილსა და ხელისუფლების პოლიტიკაზე ზეგავლენის მატარებელ სუბიექტებს, შეუძლიათ, კრიტიკული როლი ითამაშონ ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი გაწევრიანების გზაზე.

საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც საქართველოს პარლამენტმა აღიარა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გზაზე. მემორანდუმით, რომელსაც ხელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და 200-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აწერს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ აიღო ვალდებულება, დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით შეემუშავებინა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაცია

„საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წინამდებარე კონცეფციის მიზნებისთვის, მოიცავს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, აგრეთვე სხვა სამართლებრივი ფორმით არსებულ ორგანიზაციებს ან/და მოქალაქეთა გაერთიანებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება ან საზოგადოებრივად სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა.

ბ) საზოგადოებრივ ორგანიზაციად, წინამდებარე კონცეფციის მიზნებისთვის, არ მოიაზრება რელიგიური გაერთიანება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია), სახელმწიფოსა

ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი ან ისეთი გაერთიანება, რომლებზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.“

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის პრინციპები და ფასეულობები

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) დამოუკიდებლობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად, საკუთარი მისიისა და ღირებულებების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სტანდარტების ფარგლებში.

ბ) თანასწორობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანასწორი არიან და სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ თანასწორ სამართლებრივ გარემოსა და თანასწორ მიდგომას მათი საქმიანობის ყველა შესაძლო სფეროში.

გ) პარტნიორობა - სახელმწიფო ორგანოები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოიაზრებენ პარტნიორებად და შეიმუშავებენ მათთან ურთიერთობის ეფექტიან მექანიზმებს.

დ) მონაწილეობა -საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ წარდგენილ მოსაზრებებს.

ე) გამჭვირვალობა -საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთობა გამჭვირვალე და ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ვ) კონსულტირება -საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის დროს ტარდება აქტიური კონსულტაციები საზოგადოებრივ ორგანიზაციების ფართო სპექტრთან.

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კონცეფცია მიზნად ისახავს, შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭირო გარემო და გაზარდოს მათი მონაწილეობის ხარისხი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისას.

ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

4.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა

სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს შექმნას, რაც, მათ შორის, გულისხმობს მოხალისეობის, ინდივიდუალური და კორპორატიული ქველმოქმედების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის, სახელმწიფო და თვითმმართველობის საგრანტო დაფინანსების წახალისებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს სრულყოფის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

4.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სახელმწიფო შეიმუშავებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ერთიან მიდგომას, სტრატეგიას, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის. სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი პირები თავიანთი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას:

ა) უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის გონივრულ ვადაში წინასწარ მიწოდებას განსახილველ საკითხთა შესახებ, მათი მონაწილეობის ფორმისა და სხვა უფლებების მითითებით;

ბ) უზრუნველყოფენ დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასწრებას და მონაწილეობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების დროს;

გ) გონივრულ ვადაში განიხილავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებსა და პეტიციებს;

დ) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღმოუჩენენ ყველა შესაძლო და გონივრულ დახმარებას კვლევების და ანგარიშების მომზადებისას.

5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის განხორციელება და შეფასება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყება არის საქართველოს მთავრობა, რომელიც შეიმუშავებს კონცეფციის შესრულების სამოქმედო გეგმებს.

საქართველოს მთავრობის მიერ კონცეფციის შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ჩართულობით, რაც გულისხმობს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაციის შეფასებას ახორციელებს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.